ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარული, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III სასწავლო წლის სტუდენტებისთვის სალერნოს უნივერსიტეტში (იტალია) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად (2010/2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა იტალიური ენის ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და იტალიურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (ქართულ და იტალიურ ენებზე, 3 ეგზემპლარად)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- პასპორტის ასლი
- სასურველია იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

სალერნოს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული იტალიურენოვანი სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე:**www.unisa.it**

მიმღები უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტს:

- ერთთვიანი შესავალი კურსი იტალიურ ენაში
- უფასო სწავლა
- ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში
- კვების ტალონი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა:
2010 წლის 29 ოქტომბრის 12 საათი;
დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში;

მისამართი:
თსუ მეორე კორპუსი,
მეორე სართული,
ოთახი 237; ტელ: 25 02 12